ქართული

ორაგულის საწარმო

გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს ბატონ
ვასილ გედევანიშვილს
შპს ,,ქართული ორაგულის საწარმო'' ს
ს/კ 445723744

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო ვასილ,
ჩვენი კომპანია დაინტერესებულია საქართველოში აკვაკულტურის სფეროში ინვესტიციით. ჩვენს მიერ შეირჩა კონკრეტული სივრცე, რომელიც წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აპრილის N639 განკარგულების საფუძველზე, სახელმწიფოს მიერ საქართველოს საზღვაო წყლებში მარიკულტურისათვის გამოყოფილ (თევზის) ზონა N2 და (მოლუსკების) N6 ზონა, სადაც შესაძლებელია აკვაკულტურის განვითარება.

ჩვენი შემოთავაზება მოიცავს 175 000 000 აშშ დოლარის ინვესტიციას აღნიშნულ სექტორში, რაც გულისხმობს ეტაპობრივად 10 წელში და შემდგომ ყოველწლიურად 75 000 ტონა ორაგულის სახეობების თევზისა (ცისარტყელა კალმახი და კეთილშობილი ორაგული) და 5000 ტონა შავი ზღვის მიდიების წარმოებას, ასევე არანაკლებ 900 ადამიანის დასაქმებას.

ჩვენი შემოთავაზება ინვესტიციებისა და ინტენსიური განვითარების 10 წლიან პერიოდს გულისხმობს, რომელიც აერთიანებს წარმოების სრულ ციკლს. აღნიშნული პერიოდი იყოფა 3 ეტაპად;

<u>პირველი ეტაპი 3 წელი.</u>
25 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია და 175 ადამიანის დასაქმება, პირველ ეტაპზე განხორციელდება:

1. ინკუბატორის მშენებლობა ხმელეთზე
2. თევზის გადასამუშავებელი საწარმოს მშენებლობა
3. საწარმო პროცესის დაწყება ზღვის აკვატორიაში
4. 9000 ტონამდე თევზის წარმოება-გადამუშავებას
5. მიდიების წარმოების დაწყებას
6. ლაბორატორიის შექმნა
7. მცურავი საშუალებების შეძენა

+995 595 550 003 ქალაქი ბათუმი, თამარ მეფის გამზირი, N14

<u>მეორე ეტაპი 3 წელი.</u>

45 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია და 200 ადამიანის დასაქმება, მეორე ეტაპზე განხორციელდება:

1. თევზის საკვების საწარმოს მშენებლობა
2. დამატებითი ინვესტიცია ინკუბატორში წარმადობის გასაზრდელად.
3. დამატებითი ინვესტიცია გადამამუშავებელ საწარმოში გაზრდილი მოცულობების დასაკმაყოფილებლად.
4. დამატებითი ინვესტიცია მცურავ საშუალებებში
5. დამატებითი ინვესტიცია ზღვის აკვატორიაში

<u>მესამე ეტაპი 4 წელი.</u>

105 000 000 აშშ დოლარის ინვესტიციასა და 525 ადამიანის დასაქმებას, აღნიშნული ინვესტიცია პროპორციულად გადანაწილდება ყველა მიმართულებით მოცულობების გასაზრდელათ.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, აკავკულტურის განვითარება წარმოადგენს სახელმწიფოს პრიორიტეტს და ჩვენს კომპანიას განზრახული აქვს საქართველოს აკვაკულტურაში განსაკუთრებულ ინვესტიციებს, რაც თავისთავად გრძელვადიანი პროცესია. ვინაიდან შავ ზღვაში აკვაკულტურის განვითარება იმავდროულად მოიცავს რისკებს, ასეთ შემთხვევაში ჩვენთვის მხოლოდ გრძელვადიანი თანამშრომლობის მოდელია მისაღები, აკვაკულტურის ნებართვის/საზღვაო სივრცით სარგებლობის ხანგრძლივობა არანაკლები 20 წელი გაგრძელების უპირობო პერსპექტივით.

კომპანიას ასევე აქვს დამატებით შემოთავაზებები;

1. გთავაზობთ არანაკლებ 30 სტუდენტის სასწავლო პროცესის დაფინანსებას მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში აკვაკულტურის ფაკულტეტებზე და მათ პროფილით დასაქმებას.
2. კომპანია მჭიდროდ ითანამშრომლებს ადგილობრივ ფერმერებთან, ზღვაში არსებულ გალიებში ჩასასმელი მასის წარმოების პროცესში.
3. შექმნის ბრენდს ,,ქართული ორაგული“, რაც დამატებითი ბენეფიტია საქართველოსათვის საკვები პროდუქტების წარმოებაში.

+995 595 550 003 ქალაქი ბათუმი, თამარ მეფის გამზირი, N14

კომპანია მზად არის ითანამშრომლოს საქართველოში არსებულ ყველა საჭირო უწყებასთან აღნიშნული ბიზნესის განვითარებისათვის, ჩვენთვის მისაღებია შესყიდვების სხადასხვა ფორმა, როგორც პირდაპირი' ისე აუქციონის წესით მონაწილეობა.

„აკვაკულტურის შესახებ" საქართველოს კანონისა და „აკვაკულტურის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მაისის №232 დადგენილების შესაბამისად, გთხოვთ შესაბამისი პროცედურების განხორციელებას აკვაკულტურის ნებართვის გაცემის მიზნით.

აქვე დავამატებთ იმასაც რომ შპს ,,ქართული ორაგულის საწარმო"ს დამფუძნებელი და დირექტორი ბატონი ზექერიე ქონუქოღლუ გახლავთ კომპანია ,,სანკო ჰოლდინგის" მფლობელი რაც თავის მხრივ ერთგვარი გარანტიია პროექტის წარმატებისა და შემდგომიგანვითარებისათვის.

პატივისცემით:

შპს ქართული ორაგულის საწარმოს

დირექტორი Zekeriye Konukoglu

+995 595 550 003 ქალაქი ბათუმი, თამარ მეფის გამზირი, N14